სამუშაოს აღწერილობა

პროექტის

ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა უფლებების დაცვისათვის საქართველოში

შეფასება

ევროკავშირის საგრანტო კონტრაქტი: NEAR-TS/2015/369-105
აქტივობების განხორციელების პერიოდი: 01/01/15 – 12/31/2017
საპროექტო ფონდი: € 443,341.50
მთავარი განმახორციელებელი ორგანიზაცია: ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო (ფონდი)
პარტნიორები: საზოგადოება „ბილიკი“, ასოციაცია „ტოლერანტი“, მარნეულის ახალგაზრდული ცენტრი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი.
რეგიონები: სამცხე-ჯავახეთი, ქვემო და შიდა ქართლი.

I. შესასრულებელი სამუშაო: ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა უფლებების დაცვისათვის საქართველოში“ საბოლოო შეფასება. კონტრაქტორი ვალდებულია უპასუხოს მე-III ქვეპუნქტში ჩამოთვლილ შეკითხვებს.

კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულება:

- განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური შეფასების პროექტი;

- მონაწილეობა მიიღოს შეხვედრებში პროექტის დირექტორთან შეფასების დაწყებამდე და დასრულებისას;

- წარადგინოს ანგარიშის სამუშაო ვერსია ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველო“-ში საველე სამუშაოების დასრულებიდან ათი (10) სამუშაო დღის ვადაში;

- წარადგინოს შეფასების საბოლოო ანგარიში.

პერიოდი: შეფასების პერიოდად ითვლება 2015 წლის იანვარი - შეფასების დაწყების თარიღი.

ბიუჯეტი: პროექტის შეფასების სრული ღირებულება შეადგენს 7880 (შვიდი ათას რვაას ოთხმოც) ლარს. პროექტი განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (დღგ-სგან). ზემოთ აღნიშნულ თანხაში არ შედის დღგ. თუ შეფასება კერძო/ფიზიკური პირის მიერ განხორციელდება, თანხაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და შესაბამისად შეფასების განმახორციელებელი კერძო პირი მიიღებს დაბეგრილ თანხას, გადასახადების გამოკლებით.

II. შეფასების მიზანი: საბოლოო შეფასების მიზანია დაადგინოს განხორციელებული პროექტის შესაბამისობა სამუშაო გეგმასთან; განსაზღვროს შიდა შეფასებების ხარისხი და რამდენად მოხდა დასახული მიზნების სისრულეში მოყვანა. შეფასება აქცენტს გააკეთებს პროექტის მეთოდებსა და სამუშაო გეგმაზე, პროექტის ინოვაციურ მხარეებზე, მის ზეგავლენაზე, შესაბამისობაზე, გავრცელების არეალსა და მასშტაბებზე; ასევე პროექტის შედეგების გამოყენებასა და პარტიონიორულ ურთიერთობებზე.

შეფასების შედეგებს გამოიყენებს როგორც ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, ასევე პროექტის პარტნიორები, ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისათვის შესაბამისი ინტერვენციების გაძლიერებისათვის. შეფასება გაეგზავნება ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში. შეფასების შედეგების გაზიარება მოხდება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ომბუდსმენის ოფისთან).

III. შეფასებასთან დაკავშირებული კითხვები:

ა. ეფექტურობა

1. მიღწეულ იქნა თუ არა პროექტის მოსალოდნელი შედეგები?
2. რამდენად ეფექტური აღმოჩნდა და დაეხმარა თუ არა პროექტის მიმდინარეობისას გამოყენებული ინსტრუმენტები პროექტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას?
3. რამდენად ეფექტური აღმოჩნდა პროექტი სკოლების პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერებისათვის?
4. რამდენად ეფექტური აღმოჩნდა პროექტი სამოქალაქო სამოქალაქო შესაძლებლობების გაძლიერებისათვის?
5. რამდენად დაეხმარა პროექტი მშობლებს საკუთარი შესაძლებლობების გაძლიერებაში (ცოდნის ამაღლებასა და დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ და მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის მიღებაში)?

ბ. ბენეფიციარებისა და დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებები

1. დაეხმარება თუ არა პროექტი პარტნიორებს დასახული მიზნების მიღწევაში?
2. დაინტერესებულ მხარეთა აზრით რომლებია ყველაზე წარმატებული აქტივობები?
3. რა იყო პროექტის კონკრეტული ნიშა?
4. რამდენად შეუწყო ხელი პროექტმა საჯარო სკოლებს, გადაწყვეტილებების მიმღებ პირებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას?

გ. ზეგავლენა

1. რა არის პროექტის ძლიერი და სუსტი მხარეები?
2. დაეხმარა თუ არა პროექტი სკოლების უსაფრთხოების გაძლიერებასა და გენდერთან, ეთნიკურობასა და ჰომოფობიასთან დაკავშირებული ძალადობის შემთხვევების შემცირებას?
3. დაეხმარა თუ არა პროგრამა აქტიური და მრავალფეროვანი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას?
4. რამდენად შეუწყო ხელი პროექტმა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ნაადრევი ქორწინებების უარყოფითი მხარეების გამოვლენასა და სკოლის მიტოვებასთან დაკავშირებული ზეგავლენის წარმოჩენას?

დ. რეკომენდაციები

1. როგორ უნდა დავძლიოთ პროექტის სუსტი მხარეები და რა ახალი ინსტრუმენტებია საჭირო ამ სფეროში ცვლილებების განსახორციელებლად?
2. რა საჭიროებები აქვს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებას, რომლებიც ამ პროექტით არ იყო გათვალისწინებული და როგორ შეიძლება ამ საკითხების სამომავლოდ გათვალისწინება?
3. რა არის ის ახალი საკითხები, რომლებიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებენ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან?

IV. შეთავაზებული შეფასების მეთოდები

- დოკუმენტების ანალიზი;
- საველე დაკვირვებები;
- საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა;
- ინტერვიუები ექსპერტებთან, პროექტის პარტნიორებთან და მონაწილეებთან;
- ფოკუს ჯგუფები სამიზნე აუდიტორიასთან (ბავშვები და ახალგაზრდები, მშობლები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, სასკოლო პერსონალი, ადგილობრივი ხელისუფლება, ეთნიკური უმცირესობები, ქალები და ა.შ.).

V. შეფასების ექსპერტის კვალიფიკაცია

შეფასების ექსპერტი: ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, შეფასების ჩატარების მინიმუმ შვიდი წლის გამოცდილება, ფართო გამოცდილება სოციალურ მეცნიერებებში კვლევის ჩატარებისა და მეთოდოლოგიის შემუშავების კუთხით, პასუხისმგებელი უნდა იყოს შეფასების პროექტის დიზაინზე, მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის გეგმაზე, ასევე სამუშაო ვერსიებისა და საბოლოო ანგარიშის მომზადებაზე. პრიორიტეტი მიენიჭება საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების შეფასებაში გამოცდილების მქონე მკვლევარს. სავალდებულოა ქართული და ინგლისური ენების ცოდნა.

ექსპერტი ვალდებულია წარუდგინოს ფონდს ხელმოწერილი განაცხადი, რომლითაც დაადასტურებს, რომ შესაფასებელი პროექტის მიმართ ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს.

VI. შეფასების პროექტის ჩაბარება და ვადები

შეფასების სავარაუდო თარიღები: **25 ოქტომბერი , 2017- 28 დეკემბერი, 2017.**

დოკუმენტაციის გადახედვა:	ოქტომბერი 25 – 30, 2017
საველე სამუშაოები:	ნოემბერი 3 – დეკემბერი 1, 2017
საბოლოო ანგარიშის სამუშაო ვერსიის წარდგენა:	დეკემბერი 15, 2017
ფონდის მხრიდან კომენტარების წარდგენის ვადა:	დეკემბერი 21, 2017
საბოლოო ანგარიშის მოწოდების ვადა:	დეკემბერი 28, 2017.

V. ანგარიშის გზამკვლევი:

შეფასების ანგარიშის ფორმატი უნდა იყოს შემდეგნაირი:

1. **მოკლე აღწერა** — მიზანი, არსებული სიტუაციის აღწერა, შეფასების ძირითადი კითხვები, მეთოდები, აღმოჩენები, დასკვნები, რეკომენდაციები და მიღებული გამოცდილება
2. **შესავალი** — მიზანი, აუდიტორია, და შეფასების მიმოხილვა
3. **არსებული სიტუაცია** — სფეროში არსებული სიტუაცია და პრობლემების მიმოხილვა

4. **მეთოდოლოგია** —კვლევის მეთოდებისა და შეზღუდვების მოკლე მიმოხილვა
5. **აღმოჩენები/დასკვნები/რეკომენდაციები** — ანგარიშში მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს კვლევის შედეგები (ფაქტები), დასკვნები (ფაქტების ინტერპრეტაცია), და რეკომენდაციები (შესაძლო სამომავლო პროგრამებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები/შემაჯამებელი დისკუსია). დაახლოებით 10-15 გვერდი.
6. **პრობლემური საკითხები.**

VI. ენა: საბოლოო ანგარიში უნდა მომზადდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.